# კავშირი მშობლის პერფექციონიზმსა, მოზარდის პერფექციონიზმსა და შფოთვას შორის

**მარი ქარჩავა**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მაგისტრატურა (კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2016**

# აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო მშობლის (დედა) პერფექციონიზმს, მოზარდის პერფექციონიზმსა და მოზარდის შფოთვას შორის არსებული კავშირების შესწავლა. მოცემულ კვლევაში პერფექციონიზმი განხილულია, როგორც მრავალგანზომილებიანი მახასიათებელი, კერძოდ მშობლის (დედის) პერფექციონიზმთან მიმართებაში გამოყენებულია ჰევიტისა და ფლეტის მიერ შემოთავაზებული სამგანზომილებიანი მოდელი: თვით ორიენტირებული პერფექციონიზმი, სხვაზე ორიენტირებული პერფექციონიზმი, სოციალურად დეტერმინირებული პერფექციონიზმი. მოზარდის პერფექციონიზმში კი გამოყოფილია პერფექციონიზმის ორი სახე: თვით ორიენტირებული და სოციალურად დეტერმინირებული. ცნობილია, რომ პერფექციონიზმი დაკავშირებულია ზრდასრულების და მოზარდების სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემასთან, განსაკუთრებით კი შფოთვასთან. აქამდე ჩატარებულ კვლევებში ნაჩვენებია მნიშვნელოვანი კავშირები მშობლის (დედა) და მოზარდის პერფექციონიზმს შორის, თუმცა პერფექციონიზმთან დაკავშირებული ყველა აღმოჩენა გაკეთებულია სხვა კულტურების მოსახლეობაში მიღებული მონაცემების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ადრე საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევები არ ჩატარებულა. შესაბამისად, ალბათ საინტერესო იქნება პერფექციონიზმის მაჩვენებლის ქართულ პოპულაციაში დაფიქსირება. მოცემულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 65-მა მოზარდმა (15-18-წლამდე ასაკის 31 ვაჟი და 34 გოგონა) და 65-მა დედამ. კვლევაში გამოყენებული იყო სამი ინსტრუმენტი, რომელთაგან ერთი იკვლევდა დედის პერფექციონიზმს, მეორე მოზარდის პერფექციონიზმს და მესამე მოზარდის შფოთვას. მონაცემების ანალიზი განხორციელდა პირსონის კორელაციის გამოყენებით. კვლევამ აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, პოზიტიური კავშირი მოზარდის პერფექციონიზმსა და შფოთვას შორის.

აღსანიშნავია, რომ სოციალურად დეტერმინირებული პერფექციონიზმი უფრო ძლიერად უკავშირდებოდა შფოთვას, ვიდრე თვით ორიენტირებული. კვლევამ არ აჩვენა ძლიერი კავშირი მშობლის (დედა) და მოზარდის პერფექციონიზმს შორის. ამგვარი შედეგების არსებობა შესაძლოა კვლევის ზოგიერთ შეზღუდვას უკავშირდებოდეს.